

ადა ნემსაძე
ფილოლოგის დოქტორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
თბილისი, საქართველო

ალექსანდრე ჩაჩიკოვი – ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთი უცნობი სახელი

თეზისები: ქართულ მთარგმნელობით სკოლას ჰყავს ერთი უცნობი სახელი – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაცრცელებელი საზოგადოების წევრი, პოეტი და მთარგმნელი ალექსანდრე მიხეილის ძე ჩაჩიკოვი (ჩაჩიკაშვილი). იგი სამხედრო პირი გახლდათ, ყოფილი თეთრგვარდიელი, შემდეგ კი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკური რეგულარული არმიის შტაბსკაპიტანი. გასაბჭოების შემდეგ მიატოვა სამხედრო სამსახური, ერთხანს ბათუმში ცხოვრობდა და აქტიურად იყო ჩართული კულტურულ პროცესებში, 1924 წლიდან კი მუდმივ საცოვრებლად მოსკოვში გადავიდა. 1941 წელს გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში, სადაც რამდენიმე თვეში ტყვედ ჩავარდა და გერმანელთა მხარეს გადავიდა, ამის შემდეგ სხვა საბჭოთა ლეგიონერებთან ერთად იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის ნოემბერში, ალექსანდრე ჩაჩიკოვი დააპატიმრეს, გაასამართლეს სამშობლოს დალატის მუხლით და მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. სწორედ აქედან იკრძალება მისი სახელის ხსენებაც.

ალექსანდრე ჩაჩიკოვის ლიტერატურული საქმიანობა 1919 წელს იწყება. იგი თავიდანვე რუსულ ენაზე წერდა ლექსებს. რუსულ ფუტურისტულ წრეებსაც ჯერ კიდევ თბილისში დაუახლოვდა, რაც კიდევ უფრო გალრმავდა მოსკოვში და ძალიან პოპულარული გახდა მათ შორის. იყო მოსკოვის მწერალთა კლუბის წევრი, მთარგმნელი (ფრანგულიდან), ასევე თარგმნიდა ქართულიდან, აზიური (ჩინური, ებრაული,

მონლოლური) და კავკასიური (ჩუვაშური, კომური, დაღესტნური, მორდოვული...) ენებიდან. ალექსანდრე ჩაჩიკოვს რუსულად უთარგმნია ქართული კლასიკური და მოდერნისტული პოეზიის ნიმუშები (აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ილო მოსაშვილი, სანდრო ეული), ხალხური არსენას ლექსი და სხვა.

დღემდე ალექსანდრე ჩაჩიკოვის ბიოგრაფიული ცნობები არასწორად იყო ცნობილი, ყველა ბეჭდურ გამოცემაში თუ ელექტრონულ პლატფორმაზე მისი სიკვდილის თარიღად მიჩნეულია 1941 წელი (ტყვედ ჩავარდნის დრო). სტატიაში სწორედ ეს ხარვეზია გასწორებული საბჭოთა უშიშროების არქივის სისხლის სამართლის საგამოძიებო საქმის მიხედვით. ასევე საუბარია მის მთარგმნელობით საქმიანობაზე.

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ჩაჩიკოვი, საბჭოთა რეპრესიები, ფუტურიზმი, ქართველი მოდერნისტები

Abstract: Georgian translation school has one, almost unknown name – repressed due to anti-soviet activities and restricted during the Soviet period Alexandre Chachikov (Chachikashvili). He was a military man. At first he served in the White Guards, after in the Menshevik Regular Army of Independent Georgia; after Georgia's sovietization he resigned from military service and moved to live in Moscow. In 1941 he was taken prisoner and that is when his anti-soviet activities started: he took the German side and started fighting against the Soviet regime. He was arrested after the war ended and was executed as a traitor. After this Chachikov's name was banned.

Alexandre Chachikov's literary activity started in 1919. He published Russian-language poems in Russian magazines published in Georgia: Odi; Sofia Georgievna Melnikova's Fantastic Tavern 1917-1918-1919 («Оди», «Софии Георгиевне Мельниковой: Фантастический кабачок 1917-1918-1919»); writes an epic poem about Rustaveli; publishes poetic almanacs... He wrote futuristic poems in 1920s and was very popular in Russian futuristic society. Chachikov was member of the Moscow Club of Writers; translator (from French into Russian). He translated into Russian works by Georgian modernists (Galaktion, Ilo Mosashvili, Valerian Gaprindashvili, Sandro Euli...) and classic authors (Akaki Tsereteli and others); he also translated Chuvashian, Mordovian, Komian and

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

Dagestani poems. In the present article we will discuss Alexandre Chachikov's biography details that were unknown until now and which we have found in the Soviet state security archive and about his translation works.

Keywords: Alexander Chachikov, Soviet repression, Futurism, Georgian modernists, Georgian-Russian literary relations

უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართულ მთარგმნელობით სკოლას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და უამრავი ცნობილი თუ ნაკლებადმნიშვნელოვანი სახელი. თუმც, როგორც აღმოჩნდა, XX საუკუნეში, ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში, აქაც გვქონია თეთრი ფურცლები. საბჭოთა რეპრესიების ხელი კულტურის სფეროს ბევრ წარმომადგენელს შეეხო 20-30-იან წლებში, თუმცა ამით არ დამთავრებულა ანგარიშსწორება თავისუფალ შემოქმედთა მიმართ. მეორე მსოფლიო ომშა რეპრესიების ახალ ტალღას მისცა დასაბამი, რომლის ერთ-ერთი მსხვერპლი აღმოჩნდა ყოფილი სამხედრო პირი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, პოეტი და მთარგმნელი ალექსანდრე მიხეილის ძე ჩაჩიკაშვილი. იგი 1945 წლის 28 ნოემბერს დააპატიმრა „სმერში“¹ თბილისის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის განყოფილებამ გერმანულ დაზვერვასთან თანამშრომლობის ბრალდებით².

ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი (ჩაჩიკოვი) დაიბადა 1893 წელს ქ. გორში. როგორც თავად აღნიშნავს, ჩაჩიკოვი თავიდან მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო, 1924 წლიდან კი მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში და უკვე ოფიციალურადაც ასე იწოდებოდა. მისი სამხედრო კარიერა ჯერ კიდევ მეფის რუსეთის თეთრ გვარდიაში დაიწყო. ვინაიდან მამამისიც სამხედრო პირი – პოლკოვნიკი – იყო, ალექსანდრემაც ეს გზა აირჩია³: 1904 წელს იყო ვლადიკავკაზის კადეტთა კორპუსი, შემდეგ თბილისის კადეტთა კორპუსი, მოსკოვის

1. „სმერში“ – შემოკლ. **Смерть шпионам!** – კონტრდაზვერვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაციების სახელწოდება საბჭოთა კავშირში მეორე მსოფლიო ომის დროს.
2. სისხლის სამართლის საქმე ნაწარმოებია რუსულ ენაზე. საქმეც და სტატიაში დამოწმებული რუსულენოვანი ციტატებიც თარგმნილია ჩემ მიერ, ა. ნ.
3. ბიოგრაფიული ცნობები მოგვყავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან, კერძოდ, მისი სისხლის სამართლის საქმიდან (ფონდი №6, საარქივო №45362, ტ. №6), რომელიც მოპოვებულია საგრანტო პროექტის – ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა. 1941-1956 – ფარგლებში (დონორი: საქართველოს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი).

ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი და პოდპორუჩივის ჩინი (1914). მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, იბრძოდა ავსტრია-გერმანიის ფრონტზე, 1915 წელს თურქეთის ფრონტზე, 1917 წელს ირანში გადაისროლეს უკვე პორუჩივის ჩინით. ამ პერიოდში იგი რამდენჯერმე დაჭრილა და საბოლოოდ გადაუწყვეტია, მიეტოვებინა ფრონტი და სწავლა გაეგრძელებინა. 1917 წელს ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი ლენინგრადის სამხედრო-იურიდიული აკადემიის სტუდენტი ხდება, მაგრამ 1917 წლის ნოემბერში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, აკადემია დაიხურა და ისიც სამშობლოში გამოეგზავრა. მთელი ამ ხნის განმავლობაში სამჯერ იყო დაჯილდოებული: ანას მე-4, ანას მე-3 და სტანისლავსკის მე-3 ხარისხის ორდენებით.

ძალზე საინტერესოა დაკითხვის ოქმი, რადგან ამ ჩვენებას უკვე ომის შემდეგ, 1945 წელს, რეპატრიირებული ალექსანდრე ჩაჩიკოვი იძლევა, რომელიც ყველანაირად ცდილობს, თავი გაიმართოს და დამალოს საკუთარი მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ (მისი პოლიტიკური გემოვნებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ურთიერთდამოკიდებულებაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ). დაკითხვისას იგი ამბობს, რომ თავისი მაშინდელი მსოფლმხედველობისა და თავადური წარმომავლობის გამო ოქტომბრის რევოლუციას ეჭვის თვალით უყურებდა და არც ბოლშევიკები ესიმპათიურებოდნენ. ელოდა კიდეც საბჭოთა სახელმწიფოდან გასახლებას, მაგრამ ასე არ მოხდა. შემდეგ კი შეხედულებები შეეცვალა, რადგან მასზე დიდი გავლენა მოახდინა ლუნაჩარსკის პუბლიცისტურმა გამოსვლებმა, ალექსანდრ ბლოკის სტატიებმა და მაიაკოვსკის რევოლუციურმა ლექსებმა, რის შემდეგაც სულ სხვა თვალით დაუნახავს ოქტომბრის რევოლუცია. მეტიც, 1917 წლის დეკემბერში არჩევნებზე ხმა მიუცია ბოლშევიკებისათვის.

მისი ცხოვრება ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სხვანაირად წარიმართა: 1918 წლის თებერვალში იგი სამშობლოში მოემგზავრება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკურ რეგულარულ არმიაში შედის, ჯერ დარიალის ბატალიონის მეთაურის თანაშემწეა, ორ-სამ თვეში კი შტაბსკაპიტნის წოდებას იღებს და ბატალიონის მეთაურად გადაჰყავთ, თუმც მალე კვლავ ჯანმრთელობის პრობლემები უჩინდება და სამხედრო სამსახურს საბოლოოდ ანებებს თავს. გამოძიებას ეჭვებეშ დაუყენებია მისი ნათქვამი, თავად კი ამგვარ შეუსაბამობას (ბოლშევიკებისთვის ხმის მიცემა და მენშევიკურ არმიაში სამსახური) იმით ხსნის, რომ ეს მისი შეცდომა იყო, რადგან ეშინოდა დასჯისა მენშევიკური მთავრობის მხრიდან (ნემსაძე, ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი 199-200).

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

ალ. ჩარიკაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა გაცილებით ადრიდან იწყება, ლექსების წერა 8 წლის ასაკიდან დაუწყია, ბეჭდვა კი 13 წლიდან. [...] მისი პირველი ლექსები, რომელთა ნახვაც მე შევძლი, გამოქვეყნებული იყო გაზეთში კავკასიის ხმა (Голос Кавказа). ლექსები სუსტია, მაშინ ძალიან ბევრი სამხედრო პირის ლექსი იბეჭდებოდა. თუმცა ჩარიკოვის ლექსები ყურადღებას იქცევენ იმით, რომ ბევრი ეთნონიმია მათში. [...] ტარასენკოვის ბიბლიოგრაფიაში მე-20 საუკუნის რუსული პოეზია (Русская поэзия XX века) იხსენიება ჩარიკოვის კრებული, გამოცემული ფსევდონიმით – ა. ჩიაროვი. [...] ახალგაზრდა სამხედროს ლექსები ძალიან მოსწონდებია კრუჩიონის. მოსწონებია იმდენად, რომ გადაუწყვეტია წინასიტყვაობის დაწერა მისი ლექსების კრებულისთვის Қрეპკий გრომ. (Вольтская, Александр Чачиков: Забытый футурист)

ალექსანდრე ჩარიკაშვილი 1919 წელს გადადის ბათუმში და ილია ზდანევიჩის დახმარებით იტალიურ ფირმა საგოში ეწყობა სამუშაოდ, პარალელურად წერს ლექსებსა და სტატიებს გაზეთისთვის ჩვენი მხარე, წითელარმიელებისათვის კითხულობს ლექციებს ქართული ხელოვნების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ბათუმში ხელმძღვანელობს განათლების სახალხო კომისარიატის ლიტერატურულ სექციას. 1924 წელს ალექსანდრე ჩარიკაშვილი ბრუნდება თბილისში, ივლისში კი სამუდამო საცხოვრებლად მიემგზავრება მოსკოვში, სადაც ცხოვრობდა გერმანიასთან ომის დაწყებამდე.

1941 წლის 3 ივლისს ალექსანდრე ჩარიკოვი საკუთარი ნებით გამოცხადებულა წითელი არმიის შემკრებ პუნქტში და ომში წასვლის სურვილი განუცხადებია. დანაყოფი, რომელშიც იგი ირიცხებოდა, სმოლენსკის რაიონში იბრძოდა. იმავე წლის 4-5 ოქტომბრის დამეს ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს და მოხვდა სამხედრო ტყვეთა ბანაკში დუღაგი 260. სხვა მოსკოველ ტყვეებთან ერთად ჩარიკოვისთვისაც შეუთავაზებიათ გერმანელთა მხარეს გადასვლა და ისიც, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ არცთუ კეთილგანწყობილი პირი, მაშინვე დათანხმებულა. სამხედრო ტყვეთა ჯერ სმოლენსკისა და შემდეგ კატინის ბანაკებში ალექსანდრე ჩარიკაშვილს ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ემიგრანტებთან – ალექსანდრე სულხანიშვილსა და შალვა დაღაშვილთან⁴, რომლებიც აქებდნენ გერმანიის სამხედრო

4. საქართველოს სოვეტიზაციის შედეგად ემიგრაციაში აღმოჩენილ ალექსანდრე სულხანიშვილს, შალვა დაღაშვილს, სიმონ უურულსა და სამსონ ნიობერიძეს ჯერ პარიზში უმუშავით ავტოქარხანა რენოში, შემდეგ კი – ქ. შტეტინში ზეთსახდელ ქარხანაში, რომელიც ეკუთხოდა ადოლფ ჰელცერს. ასე აღმოჩენენ ისინი კატინის სადაზვერვო სკოლაში.

ძლიერებას და ოში მის გამარჯვებასაც წინასწარმეტყველებდნენ, რაც ქართველ ემიგრანტებს საქართველოს გათავისუფლების ერთადერთ გზად ესახებოდათ.

ალ. ჩაჩიკოვი კატინის დაზვერვის სკოლაში ჯერ დაცვის უფროსად მსახურობდა, შემდეგ კი მთარგმნელად მუშაობდა. 1945 წელს იგი ნეკარზულმის საქსოვ ფაბრიკაში მუშაობს. ამერიკული ჯარების მიერ ქ. ნეკარზულმის ოკუპაციის შემდეგ ჩაჩიკოვი ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ნეკარზულმის და მაინპაიმის ბანაკებში, შემდეგ კი რეპატრირებულ იქნა საბჭოთა კავშირში. დაკითხვისას ლუკენვალდის ფილტრაციის ბანაკში მან წითელი არმიის მეთაურებს დაუმალა თავისი კავშირი გერმანულ დაზვერვასთან.

1945 წლის ნოემბერში ალექსანდრე ჩაჩიკოვი დააპატიმრეს და იმავე წლის 12 დეკემბერს მიღებული დადგენილებით წაუყენეს ბრალი – „ჩაჩიკოვი, იგივე ჩაჩიკაშვილი, ალექსანდრე ჩაითვალოს ბრალდებულად რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლის თანახმად“ (ჩაჩიკაშვილი, სისხლის სამართლის საძიებო საქმე 112). 1945 წლის 26 ნოემბრიდან 1946 წლის 2 აპრილამდე იგი 10-ჯერ დაკითხეს. სთხოვდნენ საბჭოთა წყობის წინააღმდეგ მებრძოლთა დასახელებას. ერთ-ერთი მოწმე, ვინმე სამუელ სტრელეცი, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ამბობდა – ტყვეებთან საუბრისას ერთხელ საბჭოთა კავშირის ბელადზე ჩაჩიკოვმა თქვა:

გყავდეთ თქვენ, ჩვენ, ქართველებს, არ გვჭირდება ეგ ბანდიტი. [...]

როცა მოსკოვს აიღებენ გერმანელები, შეიქმნება ახალი მთავრობა და გერმანია დაამყარებს მშვიდობას, რუსეთი გათავისუფლდება ბოლშევიკების მონობისაგან. [...]

საბრალო საქართველო, როგორ დაშალეს ბოლშევიკებმა. როგორც იქნა, მოვიდა გათავისუფლების საათი. ახლა და მხოლოდ ახლა შეძლებს იგი ნამდვილ დამოუკიდებლობას. (ჩაჩიკაშვილი, სისხლის სამართლის საძიებო საქმე 147)

მეორე მოწმე ივან ბესპალოვიც ალ. ჩაჩიკოვის წინააღმდეგ მიცემულ ჩვენებაში ამბობდა: „თანამედროვე საბჭოთა მმართველობას იგი ებრაულ-იუდაისტურს უწოდებდა, ხოლო სტალინს – პოლიტიკურ ბანდიტს კრიმინალური წარსულით, აკრიტიკებდა საბჭოთა მწერლებს: შოლოხოვს, ფადეევს“ (ჩაჩიკაშვილი, სისხლის სამართლის საძიებო საქმე 148).

1946 წ. 6 აპრილს გამოიტანეს საბრალდებო დასკვნა. ალექსანდრე ჩაჩიკოვს ბრალი დასდეს დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით. ამ დროს იგი იმყოფებოდა ბუტირკის ციხეში. მოსკოვის ოლქის სამხედრო ტრიბუნალის დადგენილებით, საქმე განიხილებოდა დახურულ სასამართლო სხდომაზე სახელმწიფო

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

ბრალდების, დაცვისა და მოწმეების გარეშე. სხდომა გაიმართა 1946 წლის 18 მაისს, რომელზეც ბრალდებულმა, ძირითადად, თავი დამნაშავედ ცნო. საბოლოო სიტყვა მან ასე დაასრულა: „მე დამნაშავე ვარ ყველაფერში. მე ბედნიერი ვარ, რომ არ წავედი სამუშაოდ ჩემი პირდაპირი სპეციალობით და არ ვემსახურე გერმანელებს, როგორც ლიტერატური“. სხდომამ გამოიტანა განაჩენი – „ყოფილ წითელარმიელს, ალექსანდრე მიხეილის ძე ჩაჩიკაშვილს, რომელიც გასამართლებულია რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით სამშობლოს დალატის ბრალდებით, მიესაჯოს საჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მთელი პირადი ქონების კონფისკაციით“. 1946 წლის 9 ივნისს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაამტკიცა მოსკოვის სამხედრო ოლქის სასამართლოს მიერ გამოტანილი ზემოაღნიშნული განაჩენი, რომელიც მაღევე იქნა მოყვანილი სისრულეში (ნემსაძე, *op. cit.* 202-203).

ესაა ის რეალური ფაქტები, რაც ალექსანდრე ჩაჩიკაშვილს გადახდა თავს. რაც შეეხება მისი გარდაცვალების შესახებ დღემდე არსებულ ცნობებს, ისინი ყალბია. რუსულ ვიკიპედიასა და ლიტერატურულ საიტებზე, ასევე რუსულ ლიტერატურათმცოდნებით წყაროებში არაფერია ნათქვამი მის გერმანელებთან თანამშრომლობაზე და გარდაცვალების თარიღად ყველგან მითითებულია 1941 წელი. შესაბამისად, ვიკიპედიის მონაცემებიც (ასევე სხვა ინტერნეტგვერდებისა) ეყრდნობა რამდენიმე გამოცემას, კერძოდ, რუსულ და ინგლისურენოვანი რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალის *Russian Literature*-ს 24-ე ტომს (Никольская, Александра Чачикова 227), ჟურნალ *Voprosy literatury*-ის 1979 წლის №8 გამოცემას, სადაც ჩაჩიკოვი სხვა პოეტებთან (ცველევი, მინიხი, სოსლანი, სტრელჩენკო...) ერთად ფრონტზე დაღუპულად არის გამოცხადებული (Адамович, Хатынъ, о себе повествующая 213), რუსულ ენაზე გამომავალი კრებულებისა და ჟურნალების პუბლიკაციათა ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას (Волович, *Литературные мемуары XX века* 364).

რაც შეეხება ალექსანდრე ჩაჩიკოვის ლიტერატურულ საქმიანობას, როგორც ჟავე აღვნიშნეთ, იგი იყო ფუტურისტი და ლექსებს თავიდანვე წერდა რუსულ ენაზე, აქვს ზაუმური პოეზიის ძალზე საინტერესო ნიმუშებიც. ვინაიდან, როგორც რეპრესირებული პოეტისა, მისი სახელიც და შემოქმედებაც თითქმის უცნობია ქართული საზოგადოებისა და პროფესიული წრეებისათვის (მხოლოდ ბოლო წლებში მოექცა რუსული ავანგარდის მკვლევრის, ტატიანა ნიკოლსკაიას, მხედველობის არეში), ამიტომ დასაწყისისთვის ყურადღებას შევაჩერებთ მასზე, როგორც ფუტურისტ პოეტზე. ჯერ კიდევ ათიანი წლების ბოლოდან უკავშირდება იგი ფუტურისტებს. მაშინდელ თბილისში რუს ფუტურისტ პოეტთა ორი

ცეხი იყო (*Цех Поэтов*), ერთი სერგეი გოროდეცვის, მეორე კი იური დეგენის ხელმძღვანელობით. ჩაჩიკოვი იმ ჯგუფს შეუერთდა, რომელიც გოროდეცვის ცეხს გამოეყო და ხშირად გამოდიოდა ფანტასტიკურ დუქანში (10-იან წლებში თბილისში, მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე მდებარე არტისტული კაფე), ისმენდა ფუტურისტთა ლექსებსა და ლექციებს ფუტურიზმის შესახებ. მალე იგი თავადაც იწყებს ლექსების წერას, იყენებს ზაუმს და პოპულარობასაც აღწევს. რუსული და ქართული აგანგარდის მკვლევარი ტატიანა ნიკოლსკაია აღნიშნავს:

ჩაჩიკოვის, როგორც ვიწრო დიაპაზონის მქონე პოეტისთვის, აღმოსავლეთი იყო პრაქტიკულად ერთადერთი თემა ლექსებისა 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. [...] ჩაჩიკოვი, მიჰყვებოდა რა კიბლინგისა და გუმილიოვის ხაზს, უძღვეროდა აღმოსავლეთის ზღაპრული ქვეყნების ეგზოტიკას. მას კარგი პოეტური სმენა ჰქონდა და იყო აღექსე კრუჩიონიხის მოსწავლე და მეგობარი. (С. Третьяков и А. Чачиков о национально-освободительном движении народов востока 315)

მას ხშირად შეჰქონდა ლექსებში უცხოენოვანი სიტყვები (თურქული, სპარსული, იაპონური, ჩინური...), რაც რუსულ ტექსტში ეგზოტიკურად, თითქმის ზაუმურად უღერდა. თუმცა არასოდეს გამოუყენებია ქართული, იგი თავად ქართველი იყო და, როგორც ჩახს, მისი ყურისთვის მშობლიური სიტყვები ეგზოტიკურ უღერადობას მოკლებული იყო, ვარაუდობს მკვლევარი ტატიანა ვოლტსკაია (Op. cit.).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში მისი პირველი ლექსები, ჯერ კიდევ 1900-იან წლებში დაბეჭდილა. 1920 წელს ბათუმში გამომავალ ალმანახ თდის მე-2 ნომერში გამოქვეყნდა მისი ირანული სიმღერები (Альманахъ Оди, № 2, 1920 г., Батумъ, изданіе литературной секціи общества дѣятелей искусствъ (Оди) გვ. 17-20) და ასირიული პოემა კრებულში სოფია ვიორგევნა მელინიკოვას. ფანტასტიკური დუქანი (Софію Георгіевну Мельникову. Фантастический Кабак. Тифлис. 1917 1918 1919, გვ. 151-157). მისი ლექსების პირველი მცირე კრებული (სულ 16-გვერდიანი) მოსკოვში გამოიცა ცნობილი რუსი ფუტურისტის, ალექსეი კრუჩიონიხის, წინასიტყვაობით – Крепкій გромъ, Предисл. А. Крученых, Москва, 1919; რასაც მოჰყვა მეორე უფრო სერიოზული გამოცემა – Чай-Хане, Москва, მცხ პიეთოვ, 1927 [1926]. ამის შემდეგ მოთხრობებისა და ლექსების რამდენიმე კრებული კიდევ გამოუცია, მასვე ეკუთვნის 1939 წელს დაბეჭდილი მცირე მონოგრაფიული გამოცემები თეატრისა და კინოს ცნობილ მოღვაწეებზე: მიხეილ გელოვანზე, სანდრო უორუოლიანზე, სპარტაკ ბალაშვილსა და ივანე პერესტიანზე.

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

პარალელურად ჩაჩიკოვი ინტენსიურად მუშაობს თარგმანზე, უმეტესად აღმოსავლური ენებიდან. 1933 წელს გამოსულა მისი თარგმანების საავტორო კრებული შვიდი რესპუბლიკა (Семь республик). იგი პირველი იყო, ვინც რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ჩუვაშური, მორდოვული, კომიური და დაღესტნური პოეზიის ნიმუშები.

30-იანი წლების ბოლოს ალექსანდრე ჩაჩიკოვი ქართულ თემას უბრუნდება და წერს პოემას რუსთაველზე – *Поэма о Руставели*. ტბილისი: Изд-во и тип. Заря Востока, 1938. ამჯერად ჩვენთვის რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მისი მთარგმნელობითი საქმიანობიდან, ესაა ქართული პოეზიის რუსულ ენაზე თარგმნის ისტორია. მას უთარგმნია ხალხური არსენას ლექსი და ქართული კლასიკური და მოდერნისტული პოეზიის ნიმუშები.

1937 წელს ობილისში გამოვიდა კრებული ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე, რომელშიც იმ პერიოდის ყველა ცნობილი და აღიარებული ქართველი პოეტის ბელადისადმი მიძღვნილი ლექსები დასხეჭდა. იმავე წელს მოსკოვში უურნალ-გაზეთების გაერთიანებამ (Журнально-газетное обединение) გამოსცა მსგავსი კრებული ამჯერად უკვე რუსულ ენაზე – *Стихи и песни о Сталине*, Москва, изд., тип. и цинк. Журн.-газ. объединения, 1937 – რომლის შემდგენლებიც იყვნენ ეფიმ ზომულია და ალექსანდრე ჩაჩიკოვი. აღნიშნულ კრებულში სხვა საბჭოთა პოეტების ლექსებთან ერთად მოხვდა ქართული კრებულის რამდენიმე ლექსის თარგმანიც (გალაკტიონის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, პალლ იაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძის, ვასო გორგაძის, ალიო მაშაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის), შესრულებული სხვადასხვა მთარგმნელის მიერ. კრებულში შევიდა თავად ჩაჩიკოვის ერთი ორიგინალური ლექსი ხალხთა ბელადს (Вождю народов) და რამდენიმე თარგმანი ბალყარულიდან, ებრაულიდან და ბურიატ-მონღოლურიდან.

1938 წელს ზარია ვოსტოკამ გამოსცა გალაკტიონის რჩეული ლექსები (*Избранные стихи*), რომელშიც შესულია თარგმანი *Не только годы* ლექსისა ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ. აღნიშნული ლექსი გალაკტიონის აკადემიურ გამოცემაში 6 სტროფს შეიცავს, ჩაჩიკოვის ეს თარგმანი კი 10-სტროფიანია (ლექსის ბოლო ოთხი სტროფი, რომლებიც დღევანდელ ძირითად ვარიანტში აღარაა, ხოტბაა კლასთა ბრძოლის, „უსვებდამპალ“ კაპიტალიზმის განადგურებისა და თავისუფალი შრომის დამყარებისა, რომელიც უნდა გადავიდეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც: ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე, იტალია, პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი...). ამრიგად, ალექსანდრე ჩაჩიკოვს ადრეული ვარიანტი უთარგმნია. როგორც ლექსის პასპორტში ვკითხულობთ, აღნიშნულ სტროფებს მხოლოდ

D და E ავტოგრაფები შეიცავს, რომელიც პოეტს საბოლოო ვერსიაში აღარ შეუტანია (ტაბიძე, ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარედ, 310-311, 550-554).

სანდრო ეულის კრებულში რჩეული ლექსები (Избранные стихи, 1938) შესულია 2 ლექსის თარგმანი: Октябрьский марш (октюбристов мэрш) და Колхозница (кооператорка); ვალერიან გაფრინდაშვილის რჩეულ ლექსებში (Избранные стихи, 1938) – 1 ლექსის თარგმანი: О нём (масыр, ეძღვნება ლენინის გარდაცვალებას); 1939 წელს გამოცემულ იღო მოსაშვილის ლექსებში (Стихи) – 1 ლექსის თარგმანი: Поколению октября (октюбристов таობას). როგორც ვხედავთ, ალექსანდრე ჩაჩიკოვი თანამედროვე პოეტთა შემოქმედების თარგმნისას ძირითად აქცენტს სწორედ კონიუნქტურულ ნიმუშებზე აკეთებს. თარგმნის ლექსებს ლენინზე, სტალინზე, პარტიაზე, დიდი ოქტომბრის რევოლუციაზე. დღეს, როდესაც ჩვენთვის უკვე ცნობილია მისი რეალური ბიოგრაფია (სწორედ ამიტომ მოვიყვანეთ გარკვეული დეტალები მისი ცხოვრებიდან), ამ ფაქტის ახსნა უკვე შეგვიძლია. ალექსანდრე ჩაჩიკოვს საკმაოდ „ბნელი“ წარსული ჰქონდა საბჭოთა პოეტის პირობაზე. იყო მეფის თეთრი გვარდიის ოფიცერი, შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ძალების წარმომადგენელი საკმაოდ მაღალი თანამდებობითა და ჩინით, ჰქონდა ფუტურისტული წარსულიც. ავანგარდი თავისი მეამბოხე, არაორდინარული მსოფლმხედველობითა და უაღრესად ინდივიდუალისტური კონცეფციით, ცხადია, ვერ თავსდებოდა საბჭოთა სისტემის იდეოლოგიურ ჩარჩოში. ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ საბჭოთა წყობის მიმართ საკმაოდ მტრულად განწყობილი ადამიანი ზედმიწევნით „პარტიულ“, საბჭოთა პოეზიის ნიმუშებს თარგმნიდა. როგორც ჩანს, ამით იგი ცდილობდა, სისტემისთვის თვალი აეხვია, რათა მას მისი წარსულის გახსენება არ მონდომებოდა. დღეს უკვე ცნობილი ფაქტია, რომ სპეციალურ ორგანოებში ყველა საბჭოთა ადამიანის დოსიე ინახებოდა და სადაც საჭირო იყო, იქ ყველაფერი კარგად იცოდნენ. ალექსანდრე ჩაჩიკოვის ეს როლი – როლი საბჭოთა წყობის მომღერლისა – რომ ნაბალადევი იყო, ზუსტად დაადასტურა იმ სისხლის სამართლის საქმეშ, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ ყოფილი უშიშროების (სუკ-ის) არქივში. მიეცა თუ არა მას საშუალება ტყვედ ჩავარდნისას, მაშინვე ჩაება საბჭოთა კავშირის წინააღმდევ ომში და თუ მანამდე სტალინზე კრებულებს ადგენდა და ორიგინალური თუ ნათარგმნი ლექსებით ადიდებდა ბელადს, იმის დროს უკვე მას კრიმინალური წარსულის მქონე ბანდიტად, საქართველოს კი ბოლშევიკების მიერ დაპყრობილ ქვეყნად იხსენიებდა.

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

რაც შეეხება კლასიკური და ხალხური პოეზიის თარგმნას. 1938 წელს მოსკოვურმა გამომცემლობამ *Художественная Литература* გამოსცა არსენას ლექსის ალექსანდრე ჩარიკოვისეული რუსული თარგმანი, ილუსტრაციები თამარ აბაკელიას ეკუთვნოდა. წინასიტყვაობაში ვიქტორ გოლცევი რუს მკითხველს ჯერ აცნობს პოემის მთავარ პერსონაჟს, როგორც ნამდვილ სახალხო გმირს და არა როგორც ყაჩალს, შემდეგ კი საუბრობს პოემის თარგმანის სპეციფიკაზეც და აღნიშნავს, „ქართველი სპეციალისტები ა. ჩარიკოვის თარგმანს თვლიან წარმატებულად, იგი ახლოსაა ორიგინალთან. პოეტმა და მთარგმნელმა შეძლო და მნიშვნელოვანწილად ზუსტად გადმოსცა არსენას ლექსის ეპიკური თავისებურება“ (*Предисловие 7*). ამრიგად, ესაა პოემის სრული თარგმანი, შესრულებული ორიგინალთან ზედმიწევნითი სიზუსტით. იგივე შეიძლება ითქვას აკაკი წერეთლის ჩარიკოვისეულ თარგმანებზე. 1940 წელს გამოცემულ აკაკის კრებულში ლექსები, თამარ ცბიერი, პატარა კახი (*Стихотворения. Тамар Цвиери. Патара Кахи, Тбилиси, Заря Востока*) მის მიერ თარგმნილი 5 ლექსია დაბეჭდილი: *Моё баяти* (ჩემი ბაიათი), *Заздравный пост* (სადღევრელო, დიმიტრი ყიფიანისამი მიძღვნილი ექსპრომტი), *Что говорит свирельщик?* (მესტვირე რას ამბობს?), *Море, волнуйся, волнуйся* (ზღვაო, აღელდი, აღელდი), *Моя песня* (ჩემი სიმღერა). აღსანიშნავია, რომ ყველა თარგმანი ზედმიწევნით მიჰყვება დედანს, დაცულია არა მარტო სტროფების რაოდენობა, არამედ საზომი (ყველა ლექსი რვამარცვლიანი საზომითაა შესრულებული და რუსულადაც ასევე გადააქვს მთარგმნელს), შენარჩუნებულია რიტმი და ლექსების სტილისტიკა: როგორც შინაარსობრივი, ისე სტილისტიკური თვალსაზრისით დაცულია ენობრივი სისადავე, რაც ახასიათებს აკაკის რეალისტურ, სადა, მხატვრული ენით შექმნილ პოეზიას.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ალექსანდრე ჩარიკოვის მიერ სათარგმნელად არჩეული ნიმუშები (როგორც მოდერნისტთა, ისე აკაკის თუ ხალხური შემოქმედებისა) არ გამოირჩევა რთული მეტაფორულ-სტილისტური ბუნებით, მდიდარი ტროპული ლექსიკითა და რთული სინტაქსური კონსტრუქციებით. შესაბამისად, მთარგმნელიც ყველა შემთხვევაში იცავს ამ სტილს.

ამრიგად, ალექსანდრე ჩარიკოვი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი კიდევ ერთი პოეტი და მთარგმნელია, რომლის შემოქმედება, საბჭოთა პერიოდში მიჩქმალული, ნამდვილად იმსახურებს სპეციალისტთა ყურადღებას. იგი საკმაოდ საინტერესო იყო, როგორც ფუტურისტი პოეტი და ბევრად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი, როგორც მრავალმხრივი მთარგმნელი. როგორც კვლევამ აჩვენა, იგი ერთდროულად თარგმნიდა რამდენიმე ენიდან, ნაწილიდან უშუალოდ (ქართული, ფრანგული), ნაწილიდან კი (ჩრდილოკავკასიური და

აზიური ენები), სავარაუდოდ, სარგებლობდა შუალედური ტექსტებით. ბუნებრივია, ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია მისი ყველა თარგმანის დაწვრილებითი ანალიზი ლექსიკურ, სინტაქსურ თუ ტექსტუალურ დონეებზე, ეს არც არის აღნიშნული სტატიის მიზანი, მაგრამ რაც მისი თარგმანების ორიგინალთან ზედაპირული შედარებისას იმთავითვე ცხადი ხდება, ისაა, რომ იგი, როგორც მთარგმნელი, ერთი მხრივ, სწორად აღიქვამს დედნის შინაარსობრივ-ფაქტობრივ მოცემულობას და, მეორე მხრივ, კარგად ფლობს იმ ენის სტრუქტურას, რომელზეც თარგმნის, რის შედეგადაც ვიღებთ მეტ-ნაკლებად სრულყოფილ, რელევანტურ ნიმუშებს.

ბიბლიოგრაფია:

- Адамович, Алесь, „Хатынь, о себе повествующая“, in *Вопросы Литературы*, № 8, 1979, с. 196-220.
- Гольцев, Виктор, „Предисловие“, in *Песнь об Арсене*, Москва, Художественная Литература, 1938, с. 3-8.
- Волович, И. Г. (dir.), *Литературные мемуары XX века. Аннотированный указатель*, часть II, Москва, Наследие, 1995.
- Вольтская, Татьяна. „Александр Чачиков: Забытый футурист“, in *Радио Свобода*, <https://www.svoboda.org/a/24200207.html> (ნახვა 27 დეკემბერი 2020).
- ნემსაძე, ადა, „ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი“, in: ელბაქიძე, მაკა, რატიანი, ირმა (dir.), ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკპ მე-20 ურილობამდე (1941-1956), თბილისი, მწიგნობარი, 2019, გვ. 199-220.
- Никольская, Татьяна, „Александр Чачиков“, *Russian Literature*, Volume 24, Issue 2, 1988, с. 227-233.
- Никольская, Татьяна, „С. Третьяков и А. Чачиков о национально-освободительном движении народов востока“, in Слободан Грубачич (dir.), *Авангард и Идеология: Русские Примеры*, Белград, Издательство филологического факультета в Белграде, 2009, 315-321, http://www.orientalstudies.ru/rus/images/pdf/a_nikolskaya_2009.pdf (ნახვა 27 დეკემბერი 2020).
- ტაბიძე, გალავტიონ, თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტომი IV. ლექსები. პოემა. 1928-1931, თბილისი, 2017.
- ჩაჩიკაშვილი, ალექსანდრე, სისხლის სამართლის საძიებო საქმე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ფონდი №6, საარქივო №45362, ტომი №6, ჩაჩიკაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, ფურცელი 1-197.